პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 182 (3159)

18 სექტემბერი, კვირა. 1966 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ სპორტულ საზოგადოებათა და ორგანიზაციების კავშირისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Союза спортивных обществ и организаций Грузинской ССР и республиканского Совета профсоюзов

გამოცემის 23-ე წელი

## საათი!

◆ სოფია, 17 სექტემბერი. დღეს სტარტი მიეცა ბულგარეთის სპორტის ისტორიაში პირველ დიდ საერთაშორისო ველორბოლას, რომელშიც 9 ქვეყნის — ბულგარეთის, გდრ-ის, დანიის, თურქეთის, იტალიის, იუგოსლავიის, პოლონეთის, ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის (ა. კულიბინი, ლ. დილინოვი, ს. კონოვალოვი, ვ. სოკოლოვი, ნ. ფადეევი, გ. საიდხუჟინი) 75 სპორტსმენი მონაწილეობს. ველორბოლის დისტანცია 1.630 კილომეტრია.

◆ რომი, 17 სექტემბერი. იტალიის ფეხბურთელთა ნაკრების ახალი მწვრთნელის ფუნქციის შესრულება დაეკისრა ამ ქვეყნის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტს ჯუზეპე პასკუალეს. ამ უკანასკნელმა დაიკავა პოსტიდან მოხსნილი ე. ფაბრის ადგილი, ინგლისის მსოფლიო ჩემპიონატში იტალიის ნაკრების არადამაკმაყოფილებელი გამოსვლის გამო. სპეციალური კომიტეტის დახმარებით ჯ. პასკუალე შეუდგა მოთამაშეთა შერჩევას ევროპის პირველობაზე რუმინეთის გუნდთან შესახვედრად. ეს მატჩი ჩატარდება ნეაპოლში, 28 ნოემბერს.

◆ ოსლო, 17 სექტემბერი. ნორვეგიის „ვალერენგენსის“ ფეხბურთელთა გუნდი უბრძოლველად გავიდა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალში. ნორვეგიელთა მეტოქე იყო ალბანეთის „ნენდორი“, მაგრამ იგი შეჯიბრებიდან გავიდა.

◆ სტოკჰოლმი, 17 სექტემბერი. შვეციის დედაქალაქის ოლიმპიურ სტადიონზე დადგეს სამახსოვრო დაფა, რომელზეც აღნიშნულია იმ სპორტსმენთა სახელები, რომლებმაც 1912 წლის სტოკჰოლმის ოლიმპიურ თამაშებზე მოიპოვეს ჩემპიონის სახელი. საზეიმო ცერემონიალში მონაწილეობდნენ შვეციის ოლიმპიური კომიტეტის თავმჯდომარე პრინცი ბერტილი, აგრეთვე გ. ლილიენჰოკი (ხუთჭიდი), ვ. კარლბერგი (სროლა) და ჰ. ვისლანდერი (ათჭიდი).

## ჩვენს ძმურ რესპუბლიკებში

### დიდოსტატთა სამჭედლო

სწავლა ამ სკოლაში, როგორც ყველგან, 1 სექტემბერს დაიწყო, მაგრამ იგი ერთადერთია მთელს ესტონეთში. მისი მოსწავლეები ჭადრაკის მოყვარულები არიან. სკოლა განთქმული ესტონელი დიდოსტატის პაულ კერესის სახელობისაა. პედაგოგიური საბჭოს წევრებმა — მწვრთნელებმა, გამოცდილმა მოჭადრაკეებმა, ტალინის საჭადრაკო კლუბში განიხილეს სამუშაო გეგმა. მომავალი დიდოსტატები 4 წლის მანძილზე ისწავლიან, ჩაწვდებიან საჭადრაკო ხელოვნების საიდუმლოებას, პრაქტიკულ მეცადინეობებზე შეიძენენ სატურნირო ბრძოლის გამოცდილებას.

მოსწავლეებთან უშუალო ურთიერთობა ექნება პაულ კერესსაც. მისი აზრით, აქ ოსტატთა არა ერთი და ორი თაობა გაიზრდება. „ჩვენს რესპუბლიკაში, — თქვა კერესმა, — ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდა მოჭადრაკეა. ჭადრაკის განვითარების თანამედროვე ეტაპზე მათ სისტემატურ სწავლებასა და წვრთნას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს“.

მ. სიიმერი.

ტალინი.

### მოასპარეზე დათვი

ყაზახეთის პედაგოგიური ინსტიტუტის სტუდენტი ალექსანდრე გრიგორიევი, რომელიც შჩუჩინსკიდან (კოკჩეტავის ოლქი) ალმა-ათაში ბრუნდებოდა, საინტერესო ამბავს მოჰყვა. სპორტულ ორიენტირებაში რესპუბლიკური შეჯიბრების დროს მას უცნაური მეტოქე შეხვედრია. გრიგორიევის თითქმის „მონადირული გაზვიადება“ არავის სჯეროდა, მაგრამ...

საასპარეზოდ ყაზახეთის ბევრმა სპორტსმენმა მოიყარა თავი. რუკებით და კომპასებით შეიარაღებულნი მიიკვლევდნენ გზას, უტევდნენ რთულ გზას, რომელიც მთაში მიემართებოდა. ერთ-ერთ უბანზე ა. გრიგორიევმა შენიშნა, რომ მის პარალელურად ტრასაზე დათვი მიძუნძულებდა.

— ჩვენმა „შეჯიბრებამ“, — თქვა გრიგორიევმა, — კარგა ხანს გასტანა. მერე დათვმა ტევრში ჩაუხვია და თვალს მიეფარა.

დავსძენთ, რომ გრიგორიევმა ამ ასპარეზობაში II ადგილი დაიკავა.

ო. ოგნევი.

ალმა-ათა.

## ფარდის ახდის წინ

### ტანვარჯიში

დორტმუნდი, 17 სექტემბერი. ტანმოვარჯიშეთა XVI მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებამდე სულ ცოტა დროღა დარჩა. ქალაქის უდიდეს სპორტდარბაზში — „ვესტფალენჰალეში“ კი უკვე შეხვდებით ტურნირის პირველ მონაწილეებს. ვარაუდობენ, რომ დორტმუნდის ჩემპიონატი წარმომადგენლობით ყველაზე ხალხმრავალი იქნება. 20-25 სექტემბერს აქ გამოვა 30 ქვეყნის 350-მდე ტანმოვარჯიშე.

ხუთი დღის წინ ჩემპიონატის ქალაქს საბჭოთა სპორტსმენები ეწვივნენ. ისინი რა თქმა უნდა, საერთო ყურადღების ცენტრში არიან. საბჭოთა ტანმოვარჯიშე ვაჟებს იაპონელებთან ერთად გამარჯვების მთავარ ფავორიტებად თვლიან. ქალთა შორის პირველობას ჩვენი და სოციალისტური ქვეყნების სპორტსმენებს უწინასწარმეტყველებენ.

გაზეთი „ფრანკფურტერ ალგემაინე“ საბჭოთა ტანმოვარჯიშეს ს. დიომიდოვს ახალ „ამომავალ ვარსკვლავს“ უწოდებს. ფიქრობენ, რომ აბსოლუტური ჩემპიონის ტიტულისათვის ბრძოლა სწორედ დიომიდოვსა და იაპონელთა დუეტის ი. ენდო — ს. ცურუმის შორის გაიმართება. მაღალ შეფასებას იმსახურებს ოლიმპიური ჩემპიონის ვერა ჩასლავსკას (ჩეხოსლოვაკია) და საბჭოთა „ვუნდერკინდის“ ნატაშა კუჩინსკაიას ოსტატობა.

## გუშინ...

კიევი. ცენტრალურ სტადიონზე დაიწყო საფრანგეთისა და სსრ კავშირის მძლეოსან ვაჟთა ტრადიციული მატჩი. პირველი დღის ასპარეზობის შემდეგ ანგარიშია 57:49 საბჭოთა სპორტსმენების სასარგებლოდ.

ფეხბურთის საკავშირო ფედერაციამ საერთაშორისო კლასის ოსტატის წოდება მიანიჭა ლ. იაშინს, ი. ჩისლენკოს (მოსკოვის „დინამო“), ა. კავაზაშვილს, ვ. ვორონინს (მოსკოვის „ტორპედო“), ვ. პონომარიოვს, ა. შესტერნიოვს (ცსკა), ს. მეტრეველს, მ. ხურცილავას, გ. სიჭინავას (თბილისის „დინამო“), გ. ხუსაინოვს, ა. კორნეევს (მოსკოვის „სპარტაკი“), ვ. დანილოვს („ზენიტი“), ლ. ოსტროვსკის, ი. საბოს, ვ. სერებრიანიკოვს, ვ. პარკუიანს (კიევის „დინამო“), ა. ბანიშევსკის („ნეფტიანიკი“), ე. მალოფეევს (მინსკის „დინამო“).

ულიანოვსკი. ათასობით მაყურებელმა შეავსო „ტრუდის“ სტადიონი, სადაც ერთმანეთს შეხვდნენ „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე გუნდები, მინსკის „დინამო“ და ქუთაისის „ტორპედო“. მაყურებლები ოვაციებს მეტწილად დინამოელებს უმართავდნენ, რომლებმაც მოიგეს შეხვედრა ანგარიშით 4:1 (2:1).

გაიმართა „ბ“ კლასის რსფსრ-ს IV ზონის ფეხბურთელთა გუნდების მორიგი ტურის მატჩები. აი, რას გვატყობინებენ ჩვენი კორესპონდენტები ა. ლოშაია და ბ. ალშიბაია:

ფოთიდან. ადგილობრივმა „კოლხიდამ“ საკუთარ მოედანზე მიიღო კრიმსკის „უროჟაი“. შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 1:1. ანგარიში I ნახევარში სტუმრებმა გახსნეს, შესვენების შემდეგ კი ხოფერიამ გაიტანა საპასუხო გოლი.

ზუგდიდიდან. მოულოდნელი დამარცხება განიცადა ზუგდიდის „ენგურმა“ ნოვოროსიისკის „ცემენტთან“ შეხვედრაში. ერთადერთი ბურთი მასპინძელთა კარში გაეიდა თამაშის მე-40 წუთზე (ბატურინი). აღსანიშნავია, რომ „ენგურის“ თავდამსხმელებმა ბულიამ და ჯოპუამ ორჯერ მოარტყეს ბურთი ძელს.



15 ოქტომბერს მოსკოვში გაიხსნება IV საერთაშორისო ფოტოგამოფენა „ინტერპრეს-ფოტო 66“, რომელსაც 2 წელიწადში ერთხელ მართავს ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია. საგამოფენო ფოტოსურათები მოსკოვში თითქმის ყოველდღიურად მოდის მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნიდან. მათ შორის, რასაკვირველია, არის მსოფლიოს სპორტული ცხოვრების ამსახველი ექსპონატები. საუკეთესო ფოტოსურათებისთვის დაწესებულია ოქროს 10, ვერცხლის — 15 და ბრინჯაოს — 25 მედალი.

სურათზე თქვენ ხედავთ გამოფენისთვის განკუთვნილ ვ. შადრინის (სსრ კავშირი) ნამუშევარს — „საბედისწერო შეცდომა“.

### ახალი სტადიონი

სოჭი, 17 სექტემბერი. 10 ათასზე მეტ მაყურებელს იტევს ახალი ადგილობრივი სტადიონი. შავი ზღვისპირეთის ამ შესანიშნავმა ქალაქ-კურორტმა კიდევ ერთი საუკეთესო სპორტული ნაგებობა მიიღო.

სტადიონის გახსნის დღეს გაიმართა ფეხბურთელთა საერთაშორისო მატჩი: რსფსრ-ს ნაკრებმა მიიღო სირიის გუნდი და დაამარცხა იგი — 7:1.

### ტანვარჯიში უკტუსკის მთებში

სვერდლოვსკი, 17 სექტემბერი. უკტუსკის მთებში, რომელიც საქვეყნოდაა ცნობილი სათხილამურო ტრასებით, აიგო ტანვარჯიშული ქალაქი. მისი პირველი ბინადარნი გახდნენ „ტრუდის“ ბავშვთა სპორტსკოლის აღსაზრდელები. სხვაგვარად არც უნდა ყოფილიყო, რადგან სწორედ ბავშვები, მოზრდილ ამხანაგებთან ერთად აქტიურად მონაწილეობდნენ ტანვარჯიშული ქალაქის მშენებლობაში.

შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავის

ბიბლიოთეკა





# გაიმართება სპორტული ზეიმი



1966 წლის 2 ოქტომბერს „ლოკომოტივის“ სტადიონზე მოეწყობა დიდი ქართველი პოეტისა და მოაზროვნის შ. რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი სპორტული ზეიმი. მასში მონაწილეობას მიიღებენ თბილისის უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტები, სკოლის მოსწავლეები, სპორტულ ორგანიზაციათა წარმომადგენლები და სხვ. აღნიშნულ ღონისძიებაში ფიზკულტურის ინსტიტუტს მთავარი როლი ეკისრება. ზეიმი იწყება სალამოთი და სიბნელეში მთავრდება. მისი ხანგრძლივობა 2 საათია. შემუშავდა სცენარი, რომლის ავტორები არიან ვ. სამსონაძე, თ. სანებლიძე, გ. ყირმელაშვილი.

ოფიციალურ ნაწილს წინ უძღვის ზეიმის გახსნის ცერემონიალი: სტუდენტთა და მოსწავლეთა მასობრივი გამოსვლები, რაც იყალთოში, ვარძიასა და გელათში ანთებული ჩირაღდნების სტადიონზე გამოჩენით მთავრდება. საინტერესოა, ითქვას, რომ ერთ-ერთ ბოლო ეტაპზე მსოფლიო ჩემპიონი ომარ ფხაკაძე ჩირაღდანს ნონა გაფრინდაშვილს გადასცემს, რომელიც კოცონს ნარიყალას ციხეზე დაანთებს.

სცენარის მიხედვით ზეიმი ორნაწილიანია: პირველის დევიზია შოთას უკვდავი სიტყვები: „ბოროტსა სძლია კეთილმან...“ მასში მონაწილეობას მიიღებენ ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები და რესპუბლიკის წამყვანი სპორტსმენები. მეორე განყოფილება ტარდება ასეთი დევიზით: „ბედნიერი საქართველო“. ზეიმის აპოთეოზია მასობრივი სცენები და ფეიერვერკი.

სურათებზე: მომავალი ზეიმის მონაწილენი აზუსტებენ ვარჯიშთა ცალკეულ ფრაგმენტებს.

ფოტო და ტექსტი ი. ალიხანოვისა.

# ნადირობა-ასპარეზობის სურათი „ვეფხისტყაოსანში“

„ვეფხისტყაოსანი“ რჩეულ გმირთა და რაინდთა ასპარეზია. ამ უკვდავი პოემის მთავარი მოქმედი პირნი ფიზიკურად უნაკლო და სრულყოფილი ადამიანები არიან. მათი ტანადობა და სიტურფე, გარეგნული ბრწყინვალება და მიმზიდველობა ჰარმონიულად ერწყმის საუკეთესო სულიერ თვისებებს — მაღალ, ზნეობრივ იდეალს, სიმართლის, სიყვარულისა და სიკეთისკენ მისწრაფებებს. მაგრამ ეს მშვენიერი თანხმობა სულისა და ხორცისა, როგორც ამბავთა თხრობიდან ჩანს, შემთხვევითი, მზამზარეულად მოცემული როდია: ავთანდილის, ტარიელისა და ფრიდონის უბადლო რაინდობა მათში ბავშვობიდანვე შესისხლხორცებული და აღზრდით განმტკიცებული თვისებებია.

ფიზიკურ აღზრდასა და წვრთნას „ვეფხისტყაოსანში“ საპატიო ადგილი უჭირავს. გავიხსენოთ თუნდაც

ცუდნილა უკუთქმანია,
გარდამწყვედელი მისიცა
ბურთი და მოედანია!“

მეფემ ეს გამოწვევა სიამოვნებით მიიღო და დიდი ნადირობა დანიშნა. მთელი ლაშქარი სამზერლად იწვიეს და მხიარულობა-ლაღობით ხანაძლეო პირობაც გააჩინეს:

„ვინცა იყოს უარესი,
თავშიშველი სამ დღეს ვლიდეს“.

ნადიმი დამთავრდა. მეფემ თადარიგი დაიჭირა: წინასწარ მონადირენი გაგზავნა და მინდვრად ნადირის შეგროვება, ალყის შემორტყმა და დაცვა უბრძანა. ამითვე დამთავრდა ამბის შესავალი — ბუნებრივი შემზადება ნადირობისთვის. ამას მოსდევს 12-სტროფიანი თავი „როსტევან მეფისაგან და ავთანდილისაგან ნადირობა“,

როსტევან მეფისა და ავთანდილის ნადირობა — ასპარეზობის გრანდიოზული სურათი, რომელსაც პოემის დასაწყისშივე ვეცნობით. იგი ორთა შებმა-შეტოქების სიმძაფრით არის გაცხოველებული და შეუნელებელი ინტერესით იკითხება. მთელი ეს ეპიზოდი ბუნებრივ რგოლად არის ჩართული ნაწარმოების მთლიან კომპოზიციურ ჯაჭვში და დამოუკიდებელი ამბის შთაბეჭდილებას ახდენს.

თინათინის გამეფების გამო გამართულ ნადიმზე როსტევანმა მოულოდნელად მოიწყინა. ყველას სურდა მიზეზის გაგება, მაგრამ ვინ შეუბედავდა? მხოლოდ ორნი აღმოჩნდნენ გაბედულნი — „ვაზირი ბერი სოგრატი“ და პირმშვენიერი ავთანდილი — „სპასპეტი, ჩაუქი, ვითა ვეფხი და ლომია“. ისინი მიეახლნენ მეფეს და დიდი ხუმრობით, გადაკვრით გამოჰკითხეს დაღონების მიზეზი:

„დაგიღრეჯია, მეფეო, აღარ გიცინის პირიო...“ შენ მართალი ხარ, წახდა დიდძალი საჭურჭლე (ქონება), რომელიც თინათინმა გასცა საბოძვრად ამ დღეებში, რატომ დასვი ხელმწიფედ, „თავსა რად უგდე ჭირიო?“

როსტევანი მიუხვდა ქვეშევრდომთ ხუმრობას, გაიცინა და თავისი სევდიანობის ნამდვილი მიზეზი დაასახელა: მე ის მწყენია, რომ სიბერე მახლავს, ჩემს სამეფოში კი ისეთი კაცი არ არის, რომელიც მე მჯობდეს მშვილდოსნობა-ნადირობაში, „ჩემგან ეჭწავლნეს სამამაცონი ზნენია“, თუმცა „ცოტასა შემწევს ავთანდილ ჩემგანვე ნაზარდობითარ“. ასე გაკვრით და თითქოს უიმედოდ ხსენების გამო ავთანდილმა თავმოდრეკით გაიღიმა, მბრძანებელს სიტყვის ნება გამოსთხოვა და შეჯიბრებაში გამოიწვია:

„მიწაცა თქვენი ავთანდილ
თქვენს წინა მშვილდოსანია,
ნაძლევი დავდვათ, მოვახსნეთ
მოწმად თქვენივე ყმანია,
მოასპარეზედ ვინ მგავსო?

სადაც უდიდესი ექსპრესიითაა გადმოცემული ნადირობა-ასპარეზობის დინამიკური სურათები. პირველი სტროფი ავთანდილს ეძღვნება. ამით პოეტი თითქოს ცდილობს ყურადღების არიდან არ გაუშვას თავისი საყვარელი გმირი და მომავალი გამარჯვების ლაურეატი, მიგვითითოს, რომ მისი ჭაბუკური ენერგია დაუოკებელია, ძალა ურჩის, თავის გამოჩენას ესწრაფვის და ამიტომ დილაადრიან დგება, მეფეს ეახლება, დათქმულ შეჯიბრებაში იწვევს. ავთანდილის სიჩაუქე გარეგნულ მიმზიდველობაშიც იხატება:

„დილასა ადრე მოვიდა
იგი ნაზარდი ხოხანი,
ძოწეულითა მოსილი,
პირად ბროლ-ბადახშოსანი,
პირ-ოქრო რიდე ეხვია,
ჰშვენოდა ქარქაშოსანი,
მეფესა გასვლად აწვევდა,
მოდგა თეთრ-ტაიჭოსანი“

მეფეც მალე შეეკაზმა და ორივენი გავიდნენ ალყაშემორტყმულ მინდორზე, სადაც უთვალავი ჯარი ზიმზიმებს („სპანი ველსა დაჰფარვიდეს“). მზად არის 12 მონა, რომელთაც მოასპარეზეთათვის მშვილდისრის მიწოდება და ნასროლ-ნაკრავის დათვლა-აღრიცხვა ევალებათ. გარშემო მოუთმენლობის ყიჟინა, ზეიმი და ზარია, რასაც ერთბაშად არღვევს დამფრთხალი ნადირის გამოჩენა:

„მოვიდა ჯოგი ნადირთა,
ანგარიშ-მიუწვთომელი,
ირემი, თხა და კანჯარი,
ჰურციკი მაღლა მხტომელი“.

ასპარეზობა დაიწყო. მინდორი სისხლით შეიღება. „დახოცეს და ამოწყვიტეს, ცათა ღმერთი შეარისხეს“. ცვალებად შეტოქებაში, თავბრუდამხვევ მოძრაობაში თითქოს ყველაფერი ირთვება. ამ სურათის გამოკვეთა

მხოლოდ რუსთაველისავე სიტყვებით თუ მოხერხდება:

„ცხენთა მათთა ნატერფალნი
მზესა შუქთა წაუხმიდეს,
მიჰხოცდეს და მიისროდეს,
მინდორს სისხლთა მიასხმიდეს,
რა ისარი დაელივის,
მონანი-ყე მოართმიდეს,
მხეცნი, მათგან დაკოდილნი,
წალმა ბიჯსა ვერ წასდგმიდეს“.

აქ ამბის თხრობა ზენიტს აღწევს და ერთბაშად ნელდება: მოასპარეზენი დაიღალნენ, გადარჩენილმა ნადირმა ტყეს შეაფარა თავი და ნადირობაც დამთავრდა.

ახლა სიტყვა ეკუთვნის 12 მონას, თანამედროვე ტერმინით რომ ვთქვათ, ჟიურის, რომელმაც შეჯიბრების შედეგი უნდა გამოაცხადოს. გაიმარჯვა ავთანდილმა. მონები ასე მიმართავენ მეფეს:

„ორთავე ერთგან მოკლული
ყველაი ასჯერ ოცია,
მაგრამ ავთანდილს ოცითა
უფროსი დაუხოცია;
არ დასცთომია ერთიცა,
რაც ოდენ შეუტყორცია,
თქვენი მრავალი მიწითა
დასვრილი დაგვიხოცია“.

დასკვნა აქ უბადლო სიზუსტით, ნათლად და სხარტად არის ჩამოყალიბებული: მოკლული ნადირი ორი ათასია (ასჯერ ოცია). მაგრამ ორთა ნანადირევი ორ თანასწორ ნაწილად არ იყოფა: ავთანდილის წილ ოცით მეტი მოდის და ამაში მდგომარეობს მისი უპირატესობის რაოდენობრივი მხარე. ამასთან, მის სიმარჯვეს ხარისხობრივი მაჩვენებელიც ახლავს. ავთანდილის ნასროლი ისარი მიზანს არ ასცდენია — ნადირს ან თავში მოხვედრია, ან გულში, თქვენგან „ნაკრავი“ ნადირი კი — მიმართავენ მონები როსტევანს, მსუბუქად დაჭრილან და ბევრი ჩვენ თვითონ დავხოცეთო.

აზრის უკეთ, მოკლედ და ცხოვლად გამოხატვა შეუძლებელია: ეს არის ჭეშმარიტი განხორციელება რუსთაველისავე შეგონებისა: „გრძელი სიტყვა მოკლედ ითქმის, შაირია ამად კარგი“.

ამ შედეგით მეფე არა თუ ნაწყენი, გახარებულიცაა:

„მეფესა ესე ამბავი უჩნს,
ვითა მღერა ნარდისა,
უხარის ეგრე სიკეთე
მისისა განაზარდისა“.

ლაღობა-მხიარულობა ახალი ძალით აღზევდება. მეფე და ავთანდილი. „... საგრილად გარდახდეს ძირსა ხეთასა“. მათთან მთელი ლაშქარი იყრის თავს, „თამაშობდეს და უჭვრეტდეს წყალთა და პირსა ტყეთასა“.

თითქოს ჯერ კიდევ არ მიმქრალა გასულიერებული ნადირობით გამოწვეული ხედვითი შთაბეჭდილებანი, ჯერ კიდევ არ მიჩუმებულა ბუკის ხმა და მოასპარეზეთა ყიჟინა, რომ რუსთაველი მოულოდნელად გარდატეხას ახდენს თხრობაში.

იწყება უცხო მოყმის გამოჩენის ამბავი...

ილია მაისურაძე,
დოცენტი.

# საიუბილეო სპარტაკიადა

საქართველოს პროფესიული კავშირების რესპუბლიკური საბჭოსა და „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს დადგენილების საფუძველზე, მიმდინარე წლის ივნისში, ივლისსა და აგვისტოში საქართველოს პროფკავშირთა დარგობრივმა კომიტეტებმა საიუბილეო სპარტაკიადები ჩაატარეს.

რესპუბლიკურ ასპარეზობას, რომელიც ღონისძიების მესამე ეტაპს წარმოადგენდა, წინ უძღვოდა შეჯიბრებები ფიზკულტურულ კოლექტივებში, რაიონული და საქალაქო სპარტაკიადები.

სპარტაკიადების პროგრამა სპორტის 9-10 სახეობას ითვალისწინებდა. სულ შეჯიბრებებში მონაწილეობა მიიღო დაახლოებით 90.000-მდე მუშა-მოსამსახურემ.

ასპარეზობა ორგანიზებულად ჩაატარეს საქართველოს საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის რესპუბლიკურმა კომიტეტმა (თავმჯდომარე ე. ლოთაძე), ქვანახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის (ნ. ვაშაძე), მეტალურგიული მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის (დ. ცირეკიძე) რესპუბლიკურმა კომიტეტებმა და სხვ.

ამჟამად „განთიადის“ ცენტრალური საბჭო ატარებს პროფკავშირების დარგობრივი რესპუბლიკური კომიტეტების სპარტაკიადებში გამარჯვებული გუნდების დასკვნით ფინალურ ასპარეზობას, რომელიც გუშინ საზეიმოდ გაიხსნა „დინამოს“ სტადიონზე.

რესპუბლიკური სპარტაკიადა შ. რუსთაველის დაბადების 800 წლისთავს ეძღვნება. იგი 22 სექტემბრამდე გასტანს.

პროგრამაშია მძლეოსნობა, ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, ქართული ჭიდაობა, ჭადრაკი და შაში.

ასპარეზობაში მონაწილეობს საქართველოს კვების, საფეიქრო და მსუბუქი, ელექტროსადგურებისა და ელექტრომრეწველობის, მეტალურგიული, ქაღალდისა და ხე-ტყის, ნავთობისა და ქიმიური, მანქანათმშენებლობის, მშენებელთა და ნახშირის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირების 900-ზე მეტი სპორტსმენი.

ტ. კიკნაველიძე,
სპარტაკიადის მთავარი მსაჯი, „განთიადის“ ცენტრალური საბჭოს საორგანიზაციო მასობრივი მუშაობის და კადრების განყოფილების გამგე.

# ექნებათ ბაზები!

წარმატებით ხორციელდება გორის რაიონის სოფლების კეთილმოწყობისა და მშრომელთა კულტურული მომსახურების გაუმჯობესების ხუთწლიანი გეგმა. ფიზკულტურის კოლექტივებსაც მეტი საზრუნავი გაუჩნდათ.

შესანიშნავი თაოსნობა გამოიჩინეს ძევრის კოლმეურნეობის ახალგაზრდებმა. რომელთაც, კოლმეურნეობის გამგეობის ხელშეწყობით, სპორტული დარბაზი ააგეს, ფრენბურთისა და კალათბურთის მოედნები, ფეხბურთის მინდორი მოაწყეს. კოლმეურნეობის თავმჯდომარე უ. ბუხრაძე დიდ ყურადღებას აქცევს ფიზკულტურულ-სპორტულ მუშაობას. გამგეობამ გადაწყვიტა და მალე ძევრელ ფიზკულტურელებს ინსტრუქტორ-მეთოდისტიც ეყოლებათ.

ფლავის კოლმეურნეობის თავმჯდომარეს შ. ეკადაშვილს ბევრჯერ გაუხარებია თავისი ოსტატობით ქართული ჭიდაობის მოტრფიალენი. ახლა იგი ყოველნაირად უწყობს ხელს სოფლის ფიზკულტურულ ახალგაზრდობას. მალე ფლაველი ჭაბუკებისა და ქალიშვილების განკარგულებაში იქნება არა მხოლოდ ფეხბურთის მინდორი, ფრენბურთის, კალათბურთის მოედნები და სპორტული დარბაზი, არამედ საცურაო აუზი. უახლოეს ხანებში საკუთარ სპორტულ ბაზებზე დაიწყებენ ვარჯიშს ხელთუბნელი, ხურვალეთელი, ტყვიაველი, ატენელი და სხვა სოფლების ფიზკულტურელები.

მას შემდეგ, რაც ხიდისთავის ფეხბურთის მინდორზე წყალმა ამოხეთქა, იქაურ ახალგაზრდებს კარგა ხანს დასჭირდათ ლოდინი, სანამ კოლმეურნეობის გამგეობა (თავმჯდომარე ა. ვანიშვილი) მიწის ახალ ნაკვეთს გამოყოფდა სპორტული ბაზისთვის. აგვისტოში კი ეს საკითხი რაიკომის ბიურომ განიხილა და მდგომარეობა გამოსწორდა. მალე ხიდისთავში მწყობრში ჩადგება ახალი საფეხბურთო მინდორი, კალათბურთისა და ფეხბურთის მოედნები.

ი. თევდორაშვილი.
(ჩვენი კორ.).
გორის რაიონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ა“ კლასი I ჯგუფი

# მორიგი ტურის წინ

დღეს, ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართება „ა“ კლასის უმაღლესი ლიგის გუნდების მორიგი ტურის მატჩები. ყურადღების ცენტრშია 3 შეხვედრა, რომელთაგან მხოლოდ ერთი და ისიც ნაწილობრივ („შახტიორისა“ და მოსკოვის „ტორპედოსი“) ეხმაურება ლიდერთა ჯგუფის ინტერესებს. 2 დანარჩენი შეხვედრა სხვა მნიშვნელობისაა. იგი უმთავრესად სატურნირო ცხრილში ბოლო ადგილზე მყოფი გუნდების ავკარგს გაარკვევს და ამიტომაც აუტსაიდერთა საერთო ყურადღების გარემოცვაშია.

მოსკოვის „ტორპედო“ უკვე კარგა ხანია, რაც ოქროს მედლებისთვის ბრძოლას ჩამორჩა. ავტოქარხნელებს ლიდერისგან აშორებს მთელი 8 ქულა და 1 ზედმეტი მატჩი. მართალია, სატურნირო ცხრილში „ტორპედოს“ დღესდღეობით II ადგილი უკავია, მაგრამ დაკარგულ ქულათა რაოდენობით იგი ცსკა-საც საგრძნობლად ჩამორჩება. ასე რომ, დღევანდელი მატჩის მოგებით (თუ ეს ასე მოხდა), ავტოქარხნელები ფაქტიურად III საპრიზო ადგილის შანსებს განიმტკიცებენ.

დონეცკის „შახტიორი“, როგორც იტყვიან, ოქროს შუაგულში იმყოფება, მაგრამ გამარჯვება მასაც გამოუკეთებს მდგომარეობას. ამასთან მხედველობაში უნდა მივიღოთ ის ფაქტიც, რომ „შახტიორი“ საკუთარ მოედანზე ბოლო ხანებში ალმავლობით თამაშობს.

მოსკოვის „ლოკომოტივმა“ უკვე კარგა ხანია, რაც აუტსაიდერის სახელი დაიმკვიდრა. მართალია, მასაც ჰყავს უკან ჩამოტოვებული გუნდი, მაგრამ ქულათა მარაგი მას დიდი ოპტიმიზმის უფლებას არ აძლევს. მოსკოველი რკინიგზელები ისევე, როგორც შარშან, წელსაც სუსტად თამაშობენ, ამიტომ დღევანდელ მატჩში ლენინგრადის „ზენიტთან“ მათ წარმატების მცირე შანსები აქვთ.

დაბოლოს. ოდესის 2 გუნდზე — არმიელთა კოლექტივსა და „ჩერნომორეცზე“. ოდესაში დღეს დიდი სპორტული დღეა, რადგან სწორედ ამ ქალაქის კოლექტივები ხვდებიან ერთმანეთს. ასკ-ს 10 ქულით (24 შეხვედრიდან) გათამაშების ცხრილში მტკიცედ უკავია ბოლო ადგილი. „ჩერნომორეცის“ ბალანსი თანაქალაქელებთან შედარებით 2-ჯერ უკეთესია. მაგრამ მას ამავე დროს არმიელებთან შედარებით 1 ზედმეტი მატჩი აქვთ ჩატარებული. ასკ-ს დღევანდელ მატჩში წარმატება კონკრეტულად არაფერს აძლევს, მაგრამ თუ მხედველობაში მივიღებთ მოსკოვის რკინიგზელთა არასაიმედო მდგომარეობას, ორმა ქულამ შესაძლოა პოტენციური მნიშვნელობა მიიღოს. ამასთან, არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ჩერნომორეცს“ ასკ-სთან თამაში ყოველთვის უჭირს. ერთი სიტყვით, ოდესელთა დღევანდელ მატჩში მძაფრი ბრძოლაა მოსალოდნელი.

დღეს გაიმართება კიდევ ერთი შეხვედრა კუიბიშევში. ადგილობრივი „კრილია სოვეტოვი“ ალმა-ათის „კაირატს“ მიიღებს, ხოლო 2 დღის შემდეგ ჩვენ, მოსკოვის „სპარტაკისა“ და კიევის „დინამოს“ ფეხბურთელთა მეტად საინტერესო შეხვედრის მოწმენი გავხდებით. როგორც ცნობილია, 16 სექტემბერს ეს გუნდები ერთმანეთს კიევში შეხვდნენ სსრ კავშირის თასის მეოთხედფინალურ მატჩში. სპარტაკელებმა სასტიკი დამარცხება განიცადეს — 1:4. ეჭვს გარეშეა, რომ პირველობის კალენდარულ მატჩში ისინი რევანშის აღებას შეეცდებიან, მით უმეტეს, მატჩი მოსკოვში ჩატარდება.

# საქართველოს პირველობა

15 სექტემბერს გაიმართა I-X ადგილებისათვის მებრძოლი გუნდების მორიგი ტურის შეხვედრები.

**„მეტალურგი“ (ზესტაფონი) — „სინათლე“ (თბილისი) 2:0. მსაჯი ა. ვარდიაშვილი (თბილისი).**

მატჩმა მაყურებლების დიდი ინტერესი გამოიწვია. ზესტაფონელებმა პირველივე წუთებზე ცხადყვეს, რომ მზად იყვნენ უკომპრომისო ბრძოლისთვის. სწრაფი ტემპი, შეტევას მთელ ფრონტზე მოთამაშეთა ხშირი გადაადგილება, თამაშს სანახაობრივადაც საინტერესოს ხდიდა. თბილისელი მცველები თავგამოდებით იცავდნენ თავს და მატჩის პირველი ნახევარიც უშედეგოდ დამთავრდა.

შესვენების შემდეგ ზესტაფონელებმა ლამაზი კომბინაცია გაათამაშეს. მე-5 წუთზე გ. ტოგონიძემ ცენტრში მიიღო გადაცემა, აუარა გვერდი 3 მცველს და ძლიერი დარტყმით ბურთი თბილისელთა კარში გაგზავნა. ამის შემდეგ, სტუმრებმა რამდენიმე კონტრშეტევა წამოიწყეს, მაგრამ სასურველ მიზანს ვერ მიაღწიეს. მატჩის დამთავრებამდე 10 წუთით ადრე ზ. ფანცხავამ გაიტანა მეორე ბურთი. უნდა ითქვას, რომ თბილისელებმა მატჩი თავიანთ შესაძლებლობებზე სუსტად ჩაატარეს.

**„მერცხალი“ (მახარაძე) — „კოლხეთი“ (ცხაკაია) 2:1. მსაჯი უ. ფურცელაძე (თბილისი).**

მატჩის პირველი ნახევარი დაძაბული ბრძოლით აღინიშნა. ორივე გუნდი თამაშობდა მწვავედ და აგრესიულად, მაგრამ შეტევათა დამასრულებელი ფაზა ნაუცბათევ ხასიათს ატარებდა. სწორედ ამიტომ, პირველ ტაიმში ვერც ერთმა გუნდმა სასურველ მიზანს ვერ მიაღწია.

შესვენების შემდეგ მახარაძელმა ი. ურუშაძემ ზუსტი თავური დარტყმით გახსნა ანგარიში. სტუმრებმა სცადეს მდგომარეობის გამოსწორება და წონასწორობის აღდგენა. ერთ-ერთი შეტევის დროს მახარაძელთა მეკარე შეცდა და დარასელიამ საპასუხო ბურთი გაიტანა. შეხვედრის დამთავრებას რამდენიმე წუთი აკლდა, როდესაც ა. ბახრაშოვმა წინ გაიყვანა „მერცხალი“.

**ფიზკულტურის ინსტიტუტი (თბილისი) — „მესხეთი“ (ახალციხე) 0:0. მსაჯი მ. ნადიროვი (რუსთავი).**

ორივე გუნდს მხოლოდ გამარჯვების სურვილი ამოქმედებდა. ბურთი ხან ერთ საჯარიმო მოედანზე ტრიალებდა, ხან მეორეზე, მაგრამ ვერაფრით ვერ გადაკვეთა კარის ხაზი. აღსანიშნავია, რომ სტუდენტებმა ვერ გამოიყენეს 11-მეტრიანი საჯარიმო დარტყმა.

**„შუქურა“ (ქობულეთი) — „განთიადი“ (ბორჯომი) 3:1. მსაჯი ა. სიანოზოვი (თბილისი).**

ანგარიში 23-ე წუთზე გაიხსნა. ბურთი სტუმრების კარში გაიტანა ქობულეთელმა ურუშაძემ. შესვენებამდე ანგარიში უცვლელი დარჩა. მეორე ტაიმის მე-12 წუთზე ბორჯომელ ჩადუნელს საპასუხო გოლი გააქვს. ამის შემდეგ ინიციატივა მთლიანად მასპინძელთა მხარეს გადადის, რომლებიც ჯერ 30-ე წუთზე (ტანანაშვილი), ხოლო შემდეგ მატჩის ბოლოს (მონიავა) აღწევენ წარმატებას.

# ოსტატობის მიჯნა

## შენიშვნები ჩოგბურთზე

ადამიანებს სჩვევიათ წარსულის ასე თუ ისე გაიდეალება. ყოველ შემთხვევაში, სპორტში ასეა. განა არ გაგიგონიათ რომელიმე „სტაჟიანი“ გულშემატკივრის სიტყვები: „აი, ჩვენს დროს...“

მაგრამ, მოდით, თავი დავანებოთ ლეგენდებს და ფაქტებს მივმართოთ. თუ თქვენ ჩოგბურთის მოყვარული ხართ (და სწორედ სპორტის ამ სახეობაზე გვექნება ლაპარაკი), მაშინ უთუოდ გეცოდინებათ ბ. ნოვიკოვის სახელგანთქმული „დრაივი“, ნ. ოზეროვის გამანადგურებელი დარტყმა, რომელსაც „კატიუშას“ ეძახდნენ. მაგრამ ისტორია რა საჭიროა. სულ ახლახან მოსკოვის საერთაშორისო ტურნირზე ერთ-ერთმა მაყურებელმა, რომელიც პოტანინის თამაშს აკვირდებოდა, გულდაწყვეტით თქვა: „ეს ხადლაა ანდრეის დარტყმა მარჯვნიდან და მერე რა დარტყმა“.

დარტყმა მართლაც საოცარი იყო. პოტანინმა სსრ კავშირის პირველობაც კი მოიგო მისი გამოყენებით. ამ წარმატებას არ შეიძლება შემთხვევითი უწოდო. მაგრამ მე გავბედავ და ვიტყვი, რომ იგი დროებითი კი იყო. მართლაც, ამ ბოლო წლებში ჩვენი ქვეყნის ექს-ჩემპიონს არც ერთხელ არ გავუხარებივართ ასე თუ ისე შესამჩნევი წარმატებით. საქმე ის კი არაა, რომ მისი მთავარი იარაღი, მისი დარტყმა დაჩლუნგდა, არა. წავიდა ის დრო, როცა გამარჯვების ბედს რომელიმე ძირითადი ილეთი წყვეტდა. ოსტატობა ამოუწურავია და ყოველი ილეთი საკმაოდ დახვეწილი უნდა იყოს.

შევეცდები კონკრეტული მაგალითებით ავხსნა, რასაც ვამბობ. მოსკოვის ტურნირზე გამოდიოდა ახალგაზრდა ჩოგბურთელი ა. ვოლკოვი. მისი დარტყმა უკანა ხაზიდან (არა მარტო მარჯვნიდან, არამედ მარცხნიდანაც) თითქმის არ ჩამორჩებოდა პოტანინისეულს. მაგრამ ვოლკოვს ეს მხოლოდ გამოცდილი ინდოელი სპორტსმენის დ. მუკერჯის დამარცხებისთვის ეყო და შემდეგ პირველივე მატჩი წააგო თავის თანამემამულე ვ. ეგოროვთან. არ შეიძლება დაეყრდნო მხოლოდ სტაბილურ წარმატებებს თუ ტექნიკური არსენალი შემოიფარგლება მხოლოდ ორი-სამი ხერხით, თუნდაც ძალზე ძლიერი დარტყმებითაც კი.

ჩვენ გვყავს კიდევ ერთი ძლიერი სპორტსმენი — ს. ლიხაჩოვი. ვოლკოვისგან განსხვავებით, იგი უფრო საზრიანად თამაშობს შეუჩერებლივი დარტყმებით. მაგრამ ერთეულთა თანრიგში, ჩვეულებრივ არც ლიხაჩოვი მიიწევს წინ სატურნირო ბილიკზე. ალბათ, საჩოგბურთო ოლიმპზე ასასვლელად მხოლოდ ძალა არ კმარა.

მაშ, რა არის კიდევ საჭირო? ამ კითხვაზე, ასე თუ ისე პასუხი გასცა ფრანგი ჟ. ლიფრივისა და ე. ბუდინგის (გფრ) მატჩმა. ძალამ ამ შეხვედრაში უკანა პლანზე გადაინაცვლა. პირველ ყოვლისა, თვალში გვეცემოდათ დარტყმების სიზუსტე, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტაქტიკურად ეშმაკური თამაში, რომელიც საჭადრაკო პარტიას წააგავდა. არც ერთი მოუფიქრებელი სვლა, არც ერთი უაზრო დარტყმა. ყოველი ბურთი ზუსტად მიდიოდა მეტოქის მოედნის „მტკივნეული“ ადგილებისაკენ. სპორტსმენის წონასწორობიდან გამომყვანი დამრეც დარტყმებს ენაცვლებოდა მოულოდნელი მოჭრილი დარტყმები, რის შემდეგაც ძალზე ძნელია ბურთს დაეწიო. ბუდინგი ოდნავ მძაფრი იყო პლასირებაში და გაიმარჯვა.

როგორ მოვიქცეთ, სიზუსტეს მივანიჭოთ პირველობა? მოდით, ნუ აჩქარდებით. ტურნირზე დაგვიანებით ჩამოვიდა ინგლისელი ჯ. ჰეიდონ-ჯონსი. იგი ბუდინგს შეხვდა. ბურთების იგივე ზუსტი განაწილება მოედნის დაუცველი ადგილებისაკენ, იგივე ტაქტიკური მოხერხებულობა, იგივე, ასე ვიტყვი, ინტელექტუალობით აღსავსე მატჩი. მაგრამ ჰეიდონ-ჯონსი მეტოქეზე ოდნავ სწრაფად მოქმედებდა. კორტზე გონივრული მოძრაობა მას მაღალი ტემპით თამაშის საშუალებას აძლევდა. ჰეიდონ-ჯონსმა მოიგო მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი.

ესე იგი, ჩავთვალოთ, რომ ინგლისელმა ჩოგბურთელმა სისწრაფის წყალობით გაიმარჯვა. ეს მხოლოდ ნაწილობრივ შეეფერება სიმართლეს. არც ძალას, არც სიზუსტეს, არც ტემპს არ შეუძლია მოგვცეს გამარჯვების გარანტია. ჰეიდონ-ჯონსმა იმიტომ აჯობა ყველას, რომ მეტოქეებზე მეტი კოზირი ჰქონდა. ზემოჩამოთვლილ თვისებებს გარდა ჩოგბურთელს სჭირდება სიმტკიცე, მაგარი ნერვები, მძლავრი ათლეტიზმი და ბევრი სხვა, რაც ერთად აღებული, ოსტატობაა.

მოდით, მოვიგონოთ „ძველი დაუვიწყარი დრო“, არც ის დავივიწყოთ, რომ თამაშის კლასის კრიტერიუმი სულ უფრო მკაცრი ხდება. მოვიყვან სხვა მაგალითს. სახელმოხვეჭილი ჰოკეისტი ვ. ბობროვი დღემდე გვახსოვს როგორც შეტევის შეუდარებელი ოსტატი. მაგრამ ახლა სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ფორვარდები დაცვაში ბობროვზე უკეთ თამაშობენ. შეიცვალა დრო, შეიცვალა მოთხოვნა თავდამსხმელების მიმართ. იგივე შეიძლება ითქვას ნაკრების მოთამაშეებზე. ძნელი წარმოსადგენია თანამედროვე მცველი, რომელიც იერიშში არ მონაწილეობს.

მოთამაშეთა უნივერსალიზაციის პროცესი ჩოგბურთსაც შეეხო. ახლა საკმარისი როდია შეგეძლოს ძლიერი დარტყმა უკანა ხაზიდან ან შეუჩერებლივი დარტყმის სრულყოფილ ილეთებს ფლობდე. ახლა საჭიროა მოედანზე თავს ისე გრძნობდე, როგორც „საკუთარ სახლში“. თანამედროვე ჩოგბურთზე რომ ლაპარაკობენ, მხედველობაში აქვთ თამაშის აქტიური შემტევი მანერა. ეს კი ნიშნავს, რომ უნდა შეგეძლოს შეტევა მაშინაც კი, როცა მეტოქე თავად გიტევს. ერთი სიტყვით, კონტრშეტევის უნარი უნდა გქონდეს. საუკეთესო ჩოგბურთელები ყველაზე რთული მდგომარეობიდანაც კი ცდილობენ ბურთი უმისამართოდ არ გაგზავნონ. ახლა აღიარებას მოიპოვებს მხოლოდ ის სპორტსმენი, რომელსაც, როგორც იტყვიან, ყველაფერი შეუძლია.



მაშ, დავადგინოთ უნივერსალური ეტალონი და იმის მიხედვით შევაფასოთ ჩოგბურთელები? არავითარ შემთხვევაში! ექსტრა-კლასის ოსტატი უბრალო ჩოგბურთელისაგან სწორედ განუმეორებლობით, თავისებურებით გამოირჩევა. დაე, მოთამაშეს ჰქონდეს თავისი საყვარელი ილეთი, დაე, ყოველ მათგანს ჰქონდეს საკუთარი სახე. მთავარია, ჩოგბურთელი თანაბრად ძლიერი იყოს თამაშის ყოველ მომენტში. წინააღმდეგ შემთხვევაში დღეს ძალზე ძნელია გამარჯვებაზე ფიქრი.

ორი წლის წინათ ჩვენს სპორტსმენს ა. მეტრეველს მარცხნიდან დარტყმა უჭირდა და მეტოქეები, რასაკვირველია, კარგად იყენებდნენ მის სისუსტეს. მაგრამ მეტრეველმა დაამუშავა ეს დარტყმა და მოიგო კიდეც მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი.

უკვე ამ სეზონში ქართველმა ჩოგბურთელმა გააუმჯობესა პირველი გადაწოდება. უფრო ხშირად დაიწყო მაღალ ბურთზე დარტყმა, დაეუფლა კონტრიერიშით მიწოდებას. ყოველივე ამის წყალობით, მეტრეველმა ბრწყინვალე გამარჯვებები მოიპოვა საერთაშორისო სარბიელზე. მან დაამარცხა მსოფლიო ჩემპიონი ესპანელი მ. სანტანაც. მეტრეველი პირველი საბჭოთა სპორტსმენია, რომელიც მსოფლიო ჩოგბურთის ელიტის საზოგადოებაში შევიდა.

ეს მყისვე დაეტყო მაყურებელთა ინტერესს საერთოდ ჩოგბურთისადმი და კერძოდ, მეტრეველის მიმართ. მოსკოვის საერთაშორისო ტურნირი სარეკორდო იყო მაყურებელთა დასწრების მხრივ. ყველაზე მეტი ხალხი კი იმ კორტთან ტრიალებდა, სადაც მეტრეველი თამაშობდა. არავის არ აღელვებდა, რომ მეტრეველის მეტოქეები მასზე სუსტები იყვნენ, რომ მატჩები დიდად საინტერესო არ იყო. მეტრეველის თამაშს უყურებდნენ, როგორც საჩოგბურთო სპექტაკლს ისევე, როგორც თეატრში ესწრებიან სუსტ პიესას, თუ მასში დიდი აქტიორი გამოდის.

მეტრეველმა აბსოლუტური ჩემპიონის სახელი დაისაკუთრა მოსკოვის ბოლო ტურნირზე. გარეგნულად ქართველი ჩოგბურთელის თამაში იდეალურად გვეჩვენება. ყველა აღფრთოვანებული იყო მისი პირველი მიწოდებით. მეორე მიწოდების შესახებ კი სპეციალისტები ზოგჯერ ამბობდნენ, ჯერ მაინც სუსტიაო. ყველას მოსწონდა, რომ მეტრეველი შეუჩერებლივ გზავნიდა ბურთებს მეტოქის მოედანზე. მაგრამ ხანდახან რომელიმე მწვრთნელი მაინც შენიშნავდა: „ძალიან მაღლა სწევს ბურთს ბადეზე“. ან: „უფრო გეზად უნდა ითამაშოს“, ან: „ბურთი მიწას არ ეხება“.

მიაქციეთ ყურადღება ა. მეტრეველის მისამართით გამოთქმულ ამ შენიშვნებს. ლაპარაკია თამაშის არა ძირითად ილეთზე (გაიხსენეთ მარჯვნიდან დარტყმა), არამედ მის ცალკეულ მომენტებზე. ეს, თუ გნებავთ, ოსტატობის აღიარებაცაა. წვრილმანები განსაკუთრებულ როლს თამაშობს სწორედ მაშინ, როცა შეხვედრა უმაღლეს დონეზე ტარდება და მეტოქეთა მოქმედება ნამდვილად აღწევს იდეალს.

სიამოვნებით აღვნიშნავთ, რომ დღეისათვის ჩვენ გვყავს მთელი ჯგუფი ახალგაზრდა მოთამაშეთა, რომელთაც შეუძლიათ სრულყონ თავიანთი ოსტატობა. ესენი არიან: გოგონები — ა. ივანოვა, ო. მოროზოვა, ტ. ჩალკო, რ. ისლანოვა. ჭაბუკები — ვ. კორიოტკოვი, თ. კაკულია, ა. ეგოროვი, ა. ვოლკოვი. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ახალგაზრდები უმოკლეს ხანში გამოუცხადებენ ბრძოლას სახელმოხვეჭილ მეტოქეებს. შეიძლება ეს მოხდეს სექტემბერში, სსრ კავშირის მორიგ ჩემპიონატზე, რომელიც ალმა-ათაში გაიმართება. ყოველ შემთხვევაში, ჩემი სურვილია, აღარასოდეს გავიგონო ტრივიალური ფრაზები: „აი, ჩვენს დროს რომ თამაშობდნენ“.. დაე, მაყურებლებმა ახალგაზრდებზე თქვან: „აი, ნახავ, მალე ისინი ითამაშებენ...“

ა. პატრიკეევი.

სურათზე: ა. მეტრეველი.

# ჩემპიონატის ფინიშთან

**ბათუმი**, 17 სექტემბერი (ტელეფონით, ჩვენი კორ.). „სპარტაკის“ საცურაო აუზში გრძელდება პროფკავშირების წყალბურთელთა საკავშირო ტურნირი.

მოგვყავს V ტურის შეხვედრათა შედეგები: „ბურევესტნიკი“ (ერევანი) — „ბურევესტნიკი“ (თბილისი) 5:4, „ბალტიკა“ (ლენინგრადი) — „შრ. რეზერვები“ (მოსკოვის ოლქი) 8:7, „ტრუდი“ (ლენინგრადი) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 9:2, „ჟალგირისი“ (კაუნასი) — „ბურევესტნიკი“ (მინსკი) 4:3, „ტორპედო“ (მოსკოვი) — „მეხნატი“ (ტაშკენტი) 7:2, „შრ. რეზერვები“ (მოსკოვი) — „სპარტაკი“ (ასტრახანი) 4:2, „სპარტაკი“ (ლენინგრადი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 8:8.

ჩემპიონატს დაუმარცხებლად ლიდერობს მოსკოვის „ტორპედო“. შეჯიბრება დამთავრდება ხვალ.

# ნაკრები გუნდების დონეზე

**სსრ კავშირი — საფრანგეთის მძლეოსანთა მატჩის წინ**

გუშინ კიევში, საზეიმო ვითარებაში გაიხსნა სსრ კავშირისა და საფრანგეთის მძლეოსანთა სამატჩო შეხვედრა, რომელსაც არც თუ ისე დიდი ხნის ისტორია აქვს. თუმცა იყო დრო, როდესაც საფრანგეთის უძლიერესი მორბენლები გამოდიოდნენ მოსკოვის სტადიონებზე. მძლეოსნობის მოყვარულთ კარგად ახსოვთ ძმების ზნამენსკების არა ერთი და ორი ტრიუმფი პარიზში, „ლუმანიტეს" პოპულარულ კროსში. მაგრამ ეს კონტაქტები, როგორც წესი, ყალიბდებოდა არა ეროვნული ნაკრებების, არამედ ცალკეულ გამოჩენილ სპორტსმენთა შეხვედრების დონეზე.

ფრანგ მძლეოსნებს ევროპაში ერთ-ერთი წამყვანი ადგილი უჭირავთ. ეს რომ ასეა, ახლახან ბუდაპეშტში დამთავრებულმა ევროპის ჩემპიონატმაც ცხადყო. საკმარისია გავიხსენოთ ისეთი სახელგანთქმული მძლეოსნების გამარჯვება, როგორიცაა მ. ჟაზი (5000 მეტრზე ევროპის ჩემპიონი — 13.42,8, 1500 მეტრზე რბენაში II ადგილი), რ. ბამბიუკი (200 მ ევროპის ჩემპიონი — 20,9), ჟ. მოდიუბო (სიმაღლეზე ხტომაში ევროპის ჩემპიონი — 212 სმ), რ. სენტ-როსი (სიმაღლეზე ხტომაში II ადგილი — 212 სმ), ჟ. კოშარი (სიგრძეზე ხტომაში II ადგილი — 788 სმ), ვაჟთა ესტაფეტაში 4×100 მ (ევროპის ჩემპიონი — 39,4) და სხვ.

სტუმრების შეხვედრა საბჭოთა მძლეოსნებთან არა მარტო ჩვენი ქვეყნისა და საფრანგეთის სპორტული საზოგადოებრიობის ყურადღების ობიექტია, მის შედეგებს ინტერესით ელიან ევროპის სხვა ქვეყნებშიც.

ერთი სიტყვით, სსრ კავშირი—საფრანგეთის მძლეოსანთა მატჩმა სპეციალისტებს ბევრ საინტერესო შეკითხვაზე უნდა გასცეს პასუხი.

## ჭადრაკის ამბები

● ნალჩიკი, 17 სექტემბერი. სსრ კავშირის მოშაშე ქალთა ჩემპიონატს 11 ტურის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს ლენინგრადელი ოსტატი ი. სპასკაია — 9,5 ქულა. ჩემპიონატის დამთავრებას 2 ტური აკლია, ი. სპასკაია კი 2 ქულით უსწრებს უახლოეს მეტოქეს. ამიტომ ლენინგრადელ მოშაშეს ჩემპიონის სახელის მოპოვების ყველაზე რეალური შანსები აქვს.

# VII ადგილზე

**კვლავ წარუმატებელი სტარტები**

კიშინიოვი, 17 სექტემბერი (დეპეშით, ჩვენი სპეც. კორ.). სსრ კავშირის სოფლის სპორტსმენთა III სპარტაკიადის მეორე დღეს ველოსპორტში ასპარეზობა დაიწყეს 15 კილომეტრზე გუნდური რბოლის მონაწილე ქალებმა. სტარტი ჯერ ყაზახეთის სპორტსმენებმა აიღეს, 6 წუთის შემდეგ კი შეჯიბრებაში ჩაება საქართველოს გუნდი სპორტის ოსტატ ვ. გვოზდიკოვას, პირველთანრიგოსნების ლ. ხრიავინასა და ლ. მელნიკის შემადგენლობით. უკვე 10 კილომეტრის შემდეგ ქართველმა სპორტსმენებმა გაუსწრეს ყირგიზეთის წარმომადგენლებს, თურქმენი ველოსიპედისტებიც ჩამოიტოვეს და ფინიშთან მეორენი იყვნენ — 32.17,7. ეს შედეგი კარგა ხანს ვერ გააუმჯობესა ვერც ერთმა გუნდმა, მაგრამ აი, უკეთესი დრო აჩვენეს ესტონელებმა, უკრაინელებმა. ლატვიელებმა დისტანცია 30.18,6 წამში დაფარეს და სპარტაკიადის ჩემპიონობა მოიპოვეს. II ადგილზე გავიდნენ უკრაინელები, III — ესტონელები. ჩვენი რესპუბლიკის გუნდმა IV ადგილი დაიკავა.

შემდეგ ჭაბუკთა რბოლა დაიწყო. როგორც მოსალოდნელი იყო, ასპარეზობას ტონს ესტონელები აძლევდნენ. სტარტზე ისინი მეორე იყვნენ, ფინიშთან კი ყველას მიასწრეს და უკეთესი შედეგიც აჩვენეს — 34.08,4. მეორე ადგილზე კვლავ უკრაინელები არიან, III — ლიტველები. საქართველოს „კოლმეურნის" ჭაბუკები VIII ადგილს დასჯერდნენ.

50 კილომეტრზე რბოლაში დაძაბული ბრძოლა გაჩაღდა უკრაინის, ესტონეთისა და ლატვიის ვაჟთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს ლატვიელებმა — 1:07.17,8. II ადგილი დაიკავეს ესტონელებმა, III — ყაზახეთის წარმომადგენლებმა. საქართველოს „კოლმეურნის" ვაჟებს, რომლებმაც დისტანცია 1:11.16,8 წამში დაფარეს, V ადგილი ხვდათ.

რბოლის 6 სახეობაში შეჯიბრების შემდეგ I ადგილზე არიან ლატვიელები — 107 ქულა, II — ესტონელები (110), III — უკრაინელები (116). საქართველოს ველოსიპედისტები VII ადგილზე არიან — 321 ქულა.

ვ. ბალდასაროვი.

# „რეალ-სარაგოსას" შანსები უკეთესია

ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციამ (უეფა-ს თანხმობით) მსოფლიო პირველობისთვის ქვეყნის ნაკრების მზადების გამო, გადაიტანა ბაზრობათა თასის ორივე ფინალური მატჩი. საქმე ისაა, რომ ორივე ფინალისტი — „რეალ-სარაგოსაც" და „ფკ ბარსელონაც" ესპანეთის ნაკრების მთავარი „მკვებავები" აყვნენ. თამაშები ივნისიდან სექტემბრისთვის გადაიდო.

გასულ ოთხშაბათს ბარსელონაში, „ნოუ კამპის" მოედანზე გაიმართა ბაზრობათა თასის პირველი ფინალური მატჩი.

შეხვედრა მეტად შეუპოვარი და დაძაბული აღმოჩნდა, თუმცა მიმომხილველების აზრით, იგი მაინცდამაინც მაღალ ტექნიკურ დონეზე არ იდგა. ამას თავისი გამართლება უდავოდ აქვს. ესპანეთის საფეხბურთო ჩემპიონატი ჯერ არ დაწყებულა და ბუნებრივია, გუნდები არ არიან ფორმაში.

ერთადერთი გოლი, რომელმაც გადაწყვიტა მატჩის ბედი, გაიტანა „რეალ-სარაგოსას" მარჯვენა გარემარბმა, ბრაზილიელმა კანარიომ. მომავალ ოთხშაბათს სარაგოსაში გუნდები კვლავ შეხვდებიან ერთმანეთს. პრესის ცნობით „რეალ-სარაგოსას" განაღდებული აქვს თასი, რადგან მას შეხვედრა საკუთარ მოედანზე აქვს ჩასატარებელი.

(საქ. ინფ.).

## ფეხბურთი

# ლიდერობს „ნანტი"

საფრანგეთის ჩემპიონატის V ტურში „ნანტმა" ბორდოში უალრესად მძიმე მატჩში დაამარცხა „ბორდო" — 1:0. ერთადერთი ბურთი 85-ე წუთზე გაიტანა ცენტრალურმა თავდამსხმელმა გონდემ.

დანარჩენი მატჩების შედეგები ასეთია: „ლიონი" — „ვალანსიენი" 0:0, „ტულუზა" — „ანჟე" 1:1, „ლილი" — „ნიცა" 2:1, „რუანი" — „რეიმსი" 2:0, „მარსელი" — „ნიმი" 4:0, „სტრასბურგი" — „სენტ-ეტიენი" 2:1, „სედანი" — „სოშო" 1:1, „ლანი" — „სტად ფრანსე" 4:1, „რეინი" — „მონაკო" 3:1.

| | თ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|
| „ნანტი" | 5 | 13:6 | 9 |
| „ლანი" | 5 | 12:8 | 7 |
| „სტრასბურგი" | 5 | 11:7 | 7 |

(საქ. ინფ.).

როგორც ვიუწყებოდით, ლონდონის „ვესტ ჰემ იუნაიტედმა" წარუმატებლად დაიწყო სეზონი: ინგლისის ჩემპიონატის პირველ 2 მატჩში მან დამარცხება განიცადა. ბრიტანეთის გაზეთები გაოცებული არიან „ვესტ ჰემის" სტარტით, რადგან გუნდში მსოფლიოს 3 ჩემპიონი თამაშობს: ჯ. ჰერსტი, ბ. მური და მ. პიტერსი.

• • •

სურათზე: „ვესტ ჰემ იუნაიტედის" მსოფლიო ჩემპიონთა ტრიო: ჰერსტი, მური და პიტერსი კლუბის საწვრთნელ ბაზაზე.

ფოტო „მორნინგ სტარისა" (ინგლისი).



# ვ. ი. ქარსელაძე



შეწყდა გულისცემა იმ ადამიანისა, რომელმაც თითქმის მთელი თავისი შეგნებული ცხოვრება შესწირა ქართული ჭადრაკის დიდების სამსახურს; მამულიშვილისა, რომელმაც მთელი ნიჭი, ცოდნა და ოცნება ქართველი მოჭადრაკეების აღზრდის კეთილშობილურ საქმეს შეალია; ადამიანისა, რომელიც ჭეშმარიტად გახლდათ ჩვენი ჭადრაკის დიდი მოჭირნახულე. აღარ არის ვახტანგ ქარსელაძე!

მან მხოლოდ 47 წელი იცოცხლა, მაგრამ იცოცხლა ვაჟკაცურად, შინაარსიანად და მიზანდასახულად.

ჯერ კიდევ ჭაბუკი იყო ვახტანგი, როცა მათემატიკას, მუსიკასა და ჭადრაკს აუღო ჭაშნიკი. იგი დაიბადა ქუთაისში 1919 წელს მუსიკის მასწავლებლის ოჯახში. საშუალო სკოლისა და მუსიკალური სასწავლებლის წარჩინებით დამთავრების შემდეგ, 1937-41 წლებში სწავლობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე და აქტიურად იყო ჩაბმული დედაქალაქის საჭადრაკო ცხოვრების ფერხულში.

მხოლოდ დიდი სამამულო ომის დამთავრების შემდეგ დაუბრუნდა ვახტანგ ქარსელაძე საყვარელ საქმეს: 1948 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იგი თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტს ედგა სათავეში. თითქმის ორი ათეული წელი ძალ-ღონისა და უნარის დაუზოგავად ზრუნავდა ვახტანგი ბავშვებში ჭადრაკის სიყვარულის ჩანერგვისა და ნორჩი მოჭადრაკეების აღზრდისათვის. იგი გახლდათ ტალანტების მიგნების საოცარი ნიჭით დაჯილდოებული. ამიტომაც, სასახლის ჭადრაკის კაბინეტში აღზრდილმა ნიჭიერმა გოგონებმა და ჭაბუკებმა იმ ხანებში ქვეყანა აალაპარაკეს.

ვისაც გულთან ახლოს მიაქვს ქართული ჭადრაკის ავ-კარგი, არასოდეს დაივიწყებს ამაგდარი მწვრთნელის მიერ ნ. გაფრინდაშვილის „აღმოჩენას". ვახტანგმა დახვეწა ნონას გასაოცარი ნიჭი და იგი მსოფლიო ჩემპიონობისკენ მიმავალ გზას გაუყენა; არავინ დაივიწყებს მის თავდადებულ მეცადინეობას ე. კაკაბაძის, მ. ტოგონიძის, ა. ჩაიკოვსკაიას, ნ. ალექსანდრიას, რ. ჯინჯიხაშვილის, ი. ჩიქოვანის, ა. ბოკუჩავას, გ. მაჭავარიანის, გ. გამრეკელის, ჰ. არნშტეინის და ბევრი სხვა ჩვენი მოჭადრაკის აღსაზრდელად.

ვ. ქარსელაძის მოღვაწეობა დიდად იყო დაფასებული. მას ერთ-ერთ პირველთაგანს ჩვენს ქვეყანაში მიენიჭა სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის წოდება. იგი გახლდათ, აგრეთვე, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებელი. დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი მამაცობისთვის".

ვ. ქარსელაძე მხოლოდ მწვრთნელის საქმიანობით როდი იფარგლებოდა. 1945 წლიდან იგი სისტემატურად საქართველოს ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდიუმის წევრია და მწვრთნელთა კომისიას თავკაცობს; მსაჯობს საქართველოს ქალთა და ვაჟთა ჩემპიონატებს, სხვადასხვა კონკურსს საჭადრაკო კომპოზიციაში. ბოლო წლებში ვ. ქარსელაძე იყო ჩვენი რესპუბლიკის მოჭადრაკეთა ნაკრები გუნდის მთავარი მწვრთნელი. სსრ კავშირის ხალხთა III სპარტაკიადაში ჩვენმა გუნდმა V საპრიზო ადგილი რომ დაიკავა, ამაში ვ. ქარსელაძეს მცირე წვლილი როდი მიუძღვის.

ღვაწლმოსილი მწვრთნელი, კარგი ოჯახის ბურჯი და ღირსეული მოქალაქე იყო. ვახტანგს უზომოდ უყვარდა ბავშვები, რომლებიც მას ასეთივე სიყვარულით პასუხობდნენ.

რედაქტორის მოადგილე
ზ. ჯაფარიძე.

რესპუბლიკის ცენტრალური საჭადრაკო კლუბი და თბილისის ბ. ძნელაძის სახელობის პიონერთა და მოსწავლეთა სასახლის ჭადრაკის კაბინეტი მწუხარებით იუწყებიან სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელის, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის

ვახტანგ ილიას ძე ქარსელაძის
გარდაცვალებას.

## სპიდომეტრი — მწვრთნელის თანაშემწე

არგენტინელი ფეხბურთელების მაღალი ტექნიკა საქვეყნოდაა ცნობილი. სპეციალისტები თვლიან, რომ ტექნიკურად ისინი აღემატებიან კიდეც ბრაზილიელებს. მაგრამ ამ ქვეყნის ფეხბურთელებს ბევრი სხვა ნაკლი აქვთ, რის გამოც მათ ვერც ერთხელ ვერ მიაღწიეს მსოფლიოში უმაღლეს საფეხბურთო ტიტულს.

ამ ნაკლთა შორის მთავარია სიზარმაცე. არგენტინელებს უყვართ ბურთით ვარჯიში. აქ ისინი სიზარმაცეს არ იჩენენ. მაგრამ საკმარისია ჯერი სხვა დამხმარე ვარჯიშებზე მიდგეს (განსაკუთრებით ისეთებზე, რომელიც დიდ ჯაფას მოითხოვს), ისინი იწყებენ სიმულაციას.

არგენტინის ერთ-ერთი საკლუბო გუნდის მწვრთნელმა, ფეხბურთის ცნობილმა სპეციალისტმა პ. მარტინესმა ეშმაკობას მიმართა. მან ყოველ მოვარჯიშეს ფეხზე მინიატურული სპიდომეტრი მიაბა. ვარჯიშის წინ და მისი დამთავრების შემდეგ მწვრთნელი ამოწმებს სპიდომეტრის მაჩვენებელს. თუ ფეხბურთელს გარბენილი აქვს დაგეგმილ კილომეტრებზე ნაკლები, კლუბი მას აჯარიმებს. ფიქრობენ, რომ სპიდომეტრი ბოლოს მოუღებს ფეხბურთელთა სიზარმაცეს.

## პოლიციელი და ბოროტმოქმედი

ამ რამდენიმე ხნის წინ ფინეთის დედაქალაქ ჰელსინკის მცხოვრებლები უცნაური ამბის მოწმენი გახდნენ. ქუჩაში. თავქუდმოგლეჯილი მორბოდა ახალგაზრდა, რომელსაც ფეხდაფეხ მოსდევდა ხანში შესული პოლიციელი.

ერთი შეხედვით გასაკვირი აქ თითქოს არაფერია. ჰელსინკი თანამედროვე ტიპის დიდი ევროპული ქალაქია და მსგავს ექსცესებს ადგილი ხშირად აქვს. უჩვეულო იყო მხოლოდ მდევნელის გულმოდგინება და დევნილის პანიკური მდგომარეობა.

ერთი სიტყვით, ხნიერმა პოლიციელმა საკმაოდ სწრაფად შეთანთქა მანძილი ბოროტმოქმედამდე და ბოლოს კისერში წვდა გაქცეულს. პოლიციელმა დამნაშავე დააკავა და კომისარს ჩააბარა.

მაინც ვინ იყო ეს პოლიციელი, რომელმაც მორბენლის ასეთი ძვირფასი თვისებები გამოამჟღავნა? როგორც გამოირკვა, წესრიგის დამცველი ახალგაზრდობაში ყოფილა ფინეთის მრავალგზის რეკორდსმენი და ევროპის ერთ-ერთი უძლიერესი მძლეოსანი, გვარად ე. ოკსანენი.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.
რედაქციის მისამართი: თბილისი-8, ლენინის ქ. № 14, დეპეშებისათვის — თბილისი, „ლელო". ტელეფონები: რედაქტორის მოადგილე — 9-56-47, პასუხისმგებელი მდივანი — 3-95-30, სპორტული და ფეხბურთის განყოფილებები — 3-95-41, მასობრივ - ფიზკულტურული, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობის განყოფილებები — 3-95-14, ფოტოლაბორატორია — 3-95-16, მემანქანეთა ბიურო — 3-95-11, გამომშვები — 3-93-81.

ИНДЕКС 68418 საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14. 6 უე 01777